პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 აპრილი, კვირა, 1989 წ.
№ 69 (9988) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

განსახილველად — ჯანმრთელობის პასპორტი

პირი ვიბრუნოთ მოზარდებისკენ

საქართველოს სსრ სახალხო განათლებისა და რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროებმა ერთობლივად შეიმუშავეს ჯანმრთელობის პასპორტი, რომელიც განსახილველად დაიგზავნა საბავშვო ბაღებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფტექნიკურ, ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში.

პასპორტში შევა 5-დან 29 წლის ჩათვლით მოზარდებისა და ახალგაზრდების ფიზიკური მონაცემები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, გადატანილი დაავადებები, ამჟამინდელი გადახრა ჯანმრთელობიდან, სპორტის რომელ სახეობაში მეცადინეობს, ვარჯიშობს თუ არა დამოუკიდებლად და ა. შ.

შენიშვნები და წინადადებები შეგიძლიათ „ლელოს" რედაქციაშიც გამოაგზავნოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულია მიმართვა

გუშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარების ნორმალიზაციასთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაციის ამოცანების საკითხი.

აქტივის კრებამ მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მიმართვა რესპუბლიკის კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისა და ახალგაზრდობისადმი.

მიმართვის ტექსტი დღეს ქვეყნდება პრესაში.

გადაეცათ მოწმობები

როგორც ცნობილია, ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციებიდან სახალხო დეპუტატებად აირჩიეს სამი წარმომადგენელი — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე ბ. როგატიანი, სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. სისოევი და ცსკა-ს ლვოვის ფილიალის უფროსი სპორტის ზამთრის სახეობებში ა. აკენტიევი.

პარასკევს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოში ჩვენი სფეროს რჩეულებს სახალხო დეპუტატობის მოწმობები გადაეცათ.

ახალგაზრდული თამაშების წინ

ამ პერიოდისთვის დიდი ყურადღება ექცევა 1968 წელს დაბადებულ და მათზე უმცროსი ასაკის სპორტსმენთა მზადყოფნას. მიზეზი გასაგებია: ისინი სულ მალე ჩაებმებიან IV ახალგაზრდულ საკავშირო თამაშებში.

ამავე მიზეზით დიდი მნიშვნელობა აქვს ახმეტაში მიმდინარე ახალგაზრდა ძიუდოისტთა რესპუბლიკურ პირველობას, მით უმეტეს, რომ ისინი ჩვენი ერთ-ერთი მოწინავე რაზმია სპორტში.

ახმეტის სპორტსკოლის დარბაზში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის სპორტსმენები გამოდიან, მაყურებელიც მუდამ ავსებს დარბაზს და ასპარეზობა მათ შეუნელებელ ინტერესს იწვევს.

უკვე გამოვლინდნენ გამარჯვებულები 60 და 65 კგ წონით კატეგორიებში. პირველდასახელებულ წონაში გაიმარჯვა თბილისელმა მამუკა მახათაძემ, 65 კგ წონაში — ახმეტელმა ზურაბ სამუკაშვილმა. მასალას ამ ასპარეზობის შესახებ უახლოეს ნომერში გაცნობებთ.

■■■

ს უ რ ა თ ზ ე: ზურაბ სამუკაშვილი ფინალურ ბრძოლაში ამარცხებს თელაველ ვაჟა არუთინოვს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

[illegible]

ვითარდება საბჭოთა კავშირისა და ფინეთის თანამშრომლობა საცხენოსნო სპორტის სფეროში. აპრილის ბოლოს მოსკოვში, ცსკა-ს საცხენოსნო სპორტულ ესკადრონში, რომელიც ცნობილია ცხენის გაწვრთნილობის სკოლით, სტაჟირებაზე ჩამოდის უძლიერესი ფინელი ცხენოსანი, ოლიმპიადა-88-ის ფინალური ასპარეზობის მონაწილე კიკა კიურკლუნდი. მაისის დასაწყისში კი ფინეთში, კონკურსის სპეციალისტთა სემინარზე, მიემგზავრებიან საბჭოთა მწვრთნელები როსტისლავ მაკაროვი, იური სალნიკოვი და ვლადიმერ შავერინი.

ბარსელონაში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშების IV ეტაპი. 7 ტურის შემდეგ მხოლოდ ორი პარტია იყო გადადებული და ორივე ინგლისელ დიდოსტატ ნაიჯელ შორტს უნდა დაემთავრებინა. ეს დღე იღბლიანი გამოდგა მისთვის — კუბელ ხესუს ნოგეირასსაც მოუგუ და ესპანელ მიგელ ილესკასსაც და 4,5 ქულა მოაგროვა. ამ ორი გამარჯვების წყალობით მან II ადგილზე გადაინაცვლა. ტურნირს კი 5,5 ქულით კვლავ იუგოსლაველი დიდოსტატი ლიუბომირ ლიუბოევიჩი ლიდერობს. არტურ იუსუპოვს (სსრ კავშირი) 4 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

ჰილტონ ჰედ აილენდის (აშშ) ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის ერთ-ერთ მეოთხედფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ლეილა მესხი და ნატალია ზვერევა. გაიმარჯვა მინსკელმა ჩოგბურთელმა — 6:3, 6:2.

სტუდენტები — სპორტულ სარბიელზე!

გიგანტური თამაშები ქუთაისსაც ეწვია

ცნობილია, რომ 19 მარტს თბილისში სტარტი აიღო გიგანტურმა თამაშებმა, რომელიც წლეულს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ინიციატივით უკვე მეორედ ტარდება.

2 აპრილს ასპარეზობაში ყველა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები ჩაებნენ, ამავე დღეს გიგანტური თამაშები ქუთაისსაც ეწვია.

პედინსტიტუტის სპორტულ დარბაზში მოეწყო თამაშების საზეიმო გახსნა. მონაწილეებს მიესალმნენ და საინტერესო, დაძაბული სტარტები უსურვეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ნოდარ ვალიშვილმა, პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორმა, დოცენტმა ევგენი ბლიაძემ და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ თემურ ერემიშვილმა. ამჯერად ერთმანეთს ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური და ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტების სტუდენტთა და ლექტორ მასწავლებელთა გუნდები შეხვდნენ.

ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა 20-20 გუნდმა ერთდროულად სამ სპორტულ დარბაზში იასპარეზა. გაიმარჯვეს მომავალმა ინჟინრებმა ანგარიშით 34:26.

ამით ქუთაისელ სტუდენტთა პაექრობა არ დამთავრებულა, კვირას, 9 აპრილს ისინი ცისფერ ბილიკებზე იასპარეზებენ და ცურვაშიც შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

გიგანტურმა თამაშებმა სტუდენტი ახალგაზრდობის დიდი დაინტერესება გამოიწვია. ეს გასაგებიცაა, გამარჯვებულ კოლექტივს დიდ საქალაქო პრიზთან ერთად, რესპუბლიკური თამაშების ფინალში თამაშის უფლებაც ეძლევა.

ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ დარჩენილ სახეობებშიც ორთაბრძოლები არანაკლებ დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართება.

თამაზ კოლხიდელი.
(„ლელოს" საკ. კორ.).

ქუთაისი.

ს უ რ ა თ ზ ე: ასპარეზობენ ქუთაისელი სტუდენტები.



მასპინძელია საქართველო

საქართველოში ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად იგეგმება მნიშვნელოვანი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებები, რაც ცხადია, კარგ სამსახურს უწევს სპორტის ცალკეული სახეობების შემდგომ პროპაგანდას ჩვენს რესპუბლიკაში. რაც მთავარია, ასეთი შეჯიბრებები იგეგმება არა მხოლოდ თბილისში, არამედ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში და რაიონებში. ამ დღეებში ორი ასეთი საკავშირო ასპარეზობის მონაწილეები ეწვივნენ საქართველოს. ერთი — მშვილდოსნობაში, ტარდება ბათუმში, მეორე სამბოში — გორში.

ბათუმში პროფკავშირთა სპორტული საზოგადოების საკავშირო ჩემპიონატი მშვილდოსნობაში უკვე დამთავრდა. აქ მონაწილეობდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები — სულ 140 სპორტსმენი.

ქალთა შორის სპორტსაზოგადოების ჩემპიონობა მოიპოვა ლვოველმა ტატიანა ფედოროვსკაიამ, ტალინელი კერსტი ვეერი მეორე ადგილზე გავიდა, ტირასპოლელი ნატალია რულეევა — მესამეზე.

ვაჟებში წარმატება წილად ხვდა მოსკოველ იგორ ვილკოვს, მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად არიან ლვოველი დმიტრი ტარასოვი და სუმელი რუსლან ხაკიმოვი. გუნდურ პირველობაში ქალთა შორის გაიმარჯვეს ბელორუსელმა სპორტსმენებმა, ვაჟებში — მოსკოველებმა.

ს უ რ ა თ ზ ე: ასპარეზობის ეპიზოდი.

ა. ჩანტლაძის ფოტო (საქინფორმი).

ჭიდაობა ჩვენი, ქართული

გზა აღიარებისაკენ...

როგორც ჩანს, ქართველებს სპორტის ახალ სახეობათა დაუფლების დიდი უნარი გვაქვს. სხვადასხვა დროს შემოტანილი კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, სამბო, ძიუდო სწრაფად ავითვისეთ, გავითავისეთ და დიდ სარბიელზე თამამად გავედით.

გვყავს ქვეყნის, ევროპის, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები. რაიონებში, ქალაქებში, ჩამოყალიბებულია მრავალი სექცია და იზრდებიან მომავალი ბალავაძეები, კარტოზიები, მეკოკაშვილები, რუბაშვილები... მაგრამ ჩვენს ჭიდაობაში რა ხდება? ცხადია, „ჩვენში“ ქართულ ჭიდაობას ვგულისხმობ. იგი ნამდვილად ჩვენია, ქართულია, ორიგინალურია, ჩვენი სისხლხორცეულია, ყველა სხვა ჭიდაობისაგან განსხვავებული ფენომენია. მართალი გითხრათ, გაკვირვებას ვერ ვმალავ: როგორ მოხდა, რომ ამ უნიკალურმა სახეობამ საერთაშორისო სარბიელისაკენ გზა ვერ გაიკვლია?

აბა დავფიქრდეთ, რა აკლია ჩვენებურ ჭიდაობას? არაფერი! ქართული ჭიდაობაში სრულყოფილი სპორტული სახეობისათვის საჭირო ყველა კომპონენტია თავმოყრილი: გამჭრიახობა, შემართება, ტემპი, ილეთების მდიდარი არსენალი. მასში ქართული სული, ქართული ხასიათია გაცხადებული. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან იგი საოცნებებს იღებს შორეულ წარსულში. ხალხი საუკუნეების განმავლობაში აყალიბებდა მას, ჰმატებდა ახალ ილეთებს, იგი ისევე საყვარელია ჩვენთვის, როგორც სიმღერები: ჩაკრული, ხასანბეგური, სისატურა და სხვა.

ახლა ქართული ჭიდაობის მიზანს არ ეკითხავთ? — რაინდობა, ვაჟკაცობა, შემართება... იქ არ არის სარბიელზე კოტრიალი, ხელებისა და ფეხების მტვრევა, მახრჩობელა ილეთები. ჭიდაობა ხდება ზეზეულად, არავითარი მიყოლა, გადაბრუნება. წაქცეულის დაჯაბნვა არ შეიძლება, ქართული ჭიდაობა ამის უფლებას არ იძლევა.

ხალხმა მეტი ხალისის, აზარტის, მისი მთლიანად აღქმისათვის საგანგებო სიმღერაც კი შექმნა — გარეკახური საჭიდაო. შემდეგ, სადაც ამის საშუალება იყო, მეზურნეთა დასტა მოიწვია. არ იფიქროთ, რომ ხალხმა სულ არ იცოდა ზენასაშეჯიბრებო მოთელვისა და ასპარეზობის შემდეგ კუნთების „დაწყნარების“ მნიშვნელობა. რასაკვირველია, მას ფიზიოლოგები და ანატომები არ ჩაურევია ამ საქმეში, უბრალოდ, შეჯიბრების წინ ფალავანს აიეკვებდა კუნთების გახურებისა და საბრძოლველად განწყობისათვის. ფალავნებს ჭიდაობის შემდეგაც უნდა ეცეკვათ, ახლა უკვე კუნთების „დასაწყნარებლად“, სუნთქვის მოსაწესრიგებლად.

მინდა მკითხველს მივაწოდო ერთი ინფორმაცია: გაზეთმა „სპორტ ზა რუბეჟომ“ (1989 წ. № 5) გამოაქვეყნა მეტად საგულისხმო სტატია: „საით მივყევართ ცვლილებებს“? თურმე ნუ იტყვით, ჭიდაობა (განსაკუთრებით კლასიკური ჭიდაობა) საშინელ კრიზისს განიცდის. ოლიმპიური თამაშების კომიტეტისა და სამოყვარულო ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელები შეშფოთებას გამოთქვამენ, რომ... „ჭიდაობა (კლასიკურზეა ლაპარაკი. ვ. ე.) ფრიად მოსაწყენი გახდა; დიდი შეჯიბრება სამ დღეს გრძელდება, ჭიდაობა კი 8-10 საათს ყოველდღე, მან დაკარგა თავისი სანახაობრივი მხარე და თითქმის ცარიელ დარბაზში მიმდინარეობს. მაყურებელს სურს სარბიელზე იხილოს დინამიკური, ლამაზი, ილეთებით დატვირთული ასპარეზობა და არა გაუთავებელი მიწოლ-მოწოლა და სარბიელის კიდესთან ბღოლარძული. ასეთი მდგომარეობა კლასიკურ ჭიდაობას საფრთხის წინაშე აყენებს და ალბათ დაისმება მისი ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამოღების საკითხი“.... ამას ამბობს არა რიგითი მსაჯი, არამედ სამოყვარულო ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი მილან ერცეგანი. სეულში, სადაც ოლიმპიური ტურნირი მიმდინარეობდა, ყველაფერი ეს მკაფიოდ გამოჩნდა. ამიტომ სასწრაფოდ შეიტანეს ცვლილებები შეჯიბრების წესებში: პასიურობისათვის მოჭიდავეს პარტერს არ „უსჯიან“, შემცირდა ჭიდაობისათვის განკუთვნილი დრო. ახალი წესები მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან შევიდა ძალაში. ვნახოთ, რას გვიჩვენებს მომავალი შეჯიბრებები. მაგრამ აქ საქმე უფრო რთულია: როდესაც სახეობას მოქმედების დინამიკის ან სანახაობითი მხარის გაქრობას უსაყვედურებენ, მისი წაქმე ცუდად არის.

მაგრამ ჩვენ უფრო სხვა რამის გვეშინია: ეს „სენი“ გადამდები არ გამოდგეს და სხვა ჭიდაობებსაც არ მოედოს. ერთი კი ცხადია, თუ ჭიდაობა არ გამძაფრდა, არ დაიძაბა, მას სანახაობრივი მხარე, ცხადია, მაყურებელი, გულშემატკივარი მოაკლდება და ასე, თანდათან ჩაკვდება.

ახლა ვინმემ შეიძლება თქვას, რად გჭირდებათ შეგონებებიო. შევეცდები განვმარტო: ჩვენ ისედაც ვიცით რას წარმოადგენს ქართული ჭიდაობა. მე იმის თქმა მინდა, რომ მომენტით უნდა ვისარგებლოთ და ჩვენი ჭიდაობა გავიტანოთ საერთაშორისო სარბიელზე. ამით იქნებ, ნაწილობრივ მაინც გამოვაცოცხლოთ საერთო ჭიდაობის გარშემო შექმნილი მდგომარეობა ახალი ნაკადით. მეორეს მხრივ, გავაკეთებთ საშვილიშვილო საქმეს: დიდ სარბიელზე გზას გავუხსნით ჩვენი ეროვნული სპორტის სახეობას.

გასული წლის 27 დეკემბრის „ლელოში“ ამოვიკითხე ინფორმაცია, რომ საქართველოს 1989 წლის ფალავნობა ჩატარდება საზღვარგარეთელ მოჭიდავეთა მონაწილეობით. ჩამოვლენ იაპონელი, ინგლისელი, ჰოლანდიელი, ამერიკელი და სხვა ქვეყნების სპორტსმენები. რასაკვირველია, არას ვამბობ საბჭოთა მოჭიდავეებზე, მათ ამის სურვილი დიდი ხანია აქვთ. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ჩვენი სურვილია სტუმრებს ჩამოჰყვნენ სამოყვარულო ჭიდაობის ფედერაციის მესვეურები, რადგან სწორედ მათ უნდა გადაწყვიტონ ქართული ჭიდაობის საერთაშორისო მასშტაბით აღიარების საკითხი. მათ უნდა დავანახოთ ჩვენი ჭიდაობის ღირსება. ქართული ჭიდაობა მოწვეული სპორტსმენების მონაწილეობით ტრადიციული უნდა გახდეს. როგორც თავისუფალ ჭიდაობაში და ძიუდოში, ისე აქაც ყოველი წლის დასაწყისში ან მიწურულში მაღალ დონეზე გაიმართოს შეჯიბრება. ეს იქნება საუკეთესო გზა მისი აღიარებისა. ეს გზა გრძელია, ძნელია, მაგრამ ჩვენ იგი უნდა გავიაროთ მოთმინებით, დაჟინებით.

აქვე უნდა გავიხსენო, რომ ქართული ჭიდაობის საერთაშორისო სარბიელზე გატანის განზრახვა ადრეც იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, უშედეგოდ დამთავრდა. 1940 წელს, ფიზკულტურელთა საკავშირო პარადზე მოეწყო ქართველ მოჭიდავეთა საჩვენებელი გამოსვლა, რომელმაც დამსწრეთა საკმაო ინტერესი გამოიწვია. ასე გასინჯეთ, მას გაზეთი „პრავდაც“ კი გამოეხმაურა. მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ჭიდაობის ქართველმა ოსტატებმა... ჩვენ 1971 წელს ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“ (№ 4) გამოვთქვით აზრი, რომ მომწიფდა საკითხი ქართული ჭიდაობის საერთაშორისო სარბიელზე გატანისა. შემდეგ ამ კარგი საქმის დასაწყისს არავინ მიჰყვა, არ უპატრონა და განზრახვა განზრახვად დარჩა.

ახლა ასეთი რამ აღარ უნდა გამეორდეს. თუ დავიწყეთ, საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ კიდეც.

მაშ ასე, ჩვენს წინ არის საქართველოს ფალავნობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ უცხოელი მოჭიდავეები.

როგორ უნდა შევხვდეთ მას? როგორც რიგით საერთაშორისო შეჯიბრებას, რომლის ჩატარების გამოცდილება გვაქვს და ყოველწლიურად ვატარებთ კიდეც? არა. ეს შეჯიბრება უფრო მაღალ დონეზე, საინტერესოდ, მიმზიდველად უნდა ჩავატაროთ. ნათქვამია, პირველ შთაბეჭდილებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. დიახ, სტუმრებს უნდა ვაჩვენოთ ნამდვილი ქართული ჭიდაობა თავისი რაინდული სულით, ვაჟკაცური შემართებით, პირდაპირობით. ამისათვის უნდა ყოველმხრივ შევარჩიოთ ფალავნები, ჩოხები რომ ჩოხებია, ისინიც უნდა შეირჩეს. მახსოვს, ამ ათი წლის წინათ, საქართველოს პირველობაზე შვიდი ჩოხა გამოცვალეს, იმდენჯერ გაიხა. ცნობილ მედოლეს გარუნ თბილელს ვკითხე, თქვენს დროსაც ასე იყო მეთქი? „არაო“, — მიპასუხა, — ჩემს დროს სპარსეთიდან (ირანიდან) ჩამოტანილი ბრინჯის ტომრებისგან კერავდნენ, მაგრი იყო, სპარსული ბრინჯის ტომრები ახლა ჩვენში აღარ იშოვებაო“. ცხადია, ახლაც შეიძლება გამძლე მასალისგან შეიკეროს ჩოხები, რომელიც წამოკიდების დროს მოჭიდავეს ხელში არ შერჩება. ჩოხები, რასაკვირველია, სამაგალითოდ მოვიყვანეთ იმისათვის, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებმა ყველაფერი გაითვალისწინონ, განჭვრიტონ.

შეჯიბრებას რომ „სოლიდური“ ხასიათი მივცეთ, საჭიროა სათანადო ბეჭდური მასალები ქართულ-რუსულ-ინგლისურ და, თუ შევძელით, იაპონურ ენებზე. აუცილებლად უნდა გამოვიდეს ბროშურა „ქართული ჭიდაობა“, სადაც შევა მოკლე ნარკვევი ქართული ჭიდაობის ისტორიაზე, აგრეთვე შეჯიბრების წესები, ტექნიკა და სხვა მასალები.

სასუფეველი ქსენო, თუ სტუმრებს ვარჩენთ ჩვენი ჭიდაობის ადგილებს, ვავიყვანთ — ოფლად და ეკბუნების წიაღში, ვანახვებთ ნახერხმოყრილ სარბიელზე როგორ ნავარდობენ ჩვენი ბიჭები. მაგრამ აქ უნდა გავიხსენო ერთი საკალალო ფაქტი: გაზეთი „ლელო“ (1974 წ. №54) ვვაუწყებდა, რომ ძიუდოში საერთაშორისო შეჯიბრებაზე თბილისში ჩამოსული სტუმრები ქალაქგარეთ გავიყვანეთ, გვინდოდა ქართული ჭიდაობა თავისი „ნატურალური სახით“ გვეჩვენებინაო. „მაგრამ, — დასძენს კორესპონდენტი, — სარბიელზე რაღაც გაუგებარი რამ ხდებოდა. არც სარმა, შუაკური, მოგვერდი ან კისრული! პატარა ფალავნები არც ერთხელ არ გამართულან წელში, არც ერთხელ არ მისულან ერთმანეთთან გამართულნი, რაინდულად. მთელი ამ სანახაობის მიზანი თითქოს იმის ჩვენება იყო, როგორ არ უნდა ვიჭიდაოთ ქართულად“. ამ ამონაწერს კომენტარი არ სჭირდება, თუმც ზევით უკვე ვთქვით პირველი შთაბეჭდილების მნიშვნელობაზე.

დასასრულ მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ქართული ჭიდაობის ფედერაციაზე. ამაზე დიდ ღონისძიებას იგი წელს ვერ ჩაატარებს. მოგვიტევონ ფედერაციის წევრებმა, მაგრამ სხვების დახმარება მათ აუცილებლად სჭირდებათ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფედერაცია, ჩემის აზრით, მეტად ინერტულია. შეჯიბრების ჩატარების რაოდენობით არ ამოიწურება საქმე. როგორც ჩანს, წაკლებადაა შემოქმედებითი მუშაობა, სუსტია მეთოდური დახმარება მწვრთნელებისა და მსაჯებისთვის, თვით ქართული ჭიდაობის ილეთების არსენალი არ მდიდრდება და სხვა.

ახლა, როდესაც ამ დიდი ღონისძიების ჩატარება გველოდება, ფედერაციას ინერტულობა აღარ გამოადგება. მთელი თავისი რეზერვის. შემოქმედებითი ძალების დაძაბვაა საჭირო. ამასთან, ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ მას, პირველ რიგში, ცხადია, სპორტსაბჭომი იტყვის თავის სიტყვას. ქართული ჭიდაობის საერთაშორისო სარბიელზე გატანის ნაპერწკალი აკიაფდა. იგი ჩვენი ღირსების საქმეა, ამიტომ ძალისხმევას ნუ მოვაკლებთ მას, ვეცადოთ, ყველამ ერთხელ კიდევ ვცადოთ!

ვასილ ელაშვილი,
პროფესორი.

• • •

მინაშერი: როდესაც ამ წერილზე მუშაობა დავამთავრე, ჯერ კიდევ გაურანდავი ვარიანტები კოლეგას წავაკითხე. მან ასეთი შენიშვნა გააკეთა: „როგორ ჩაატარებენ შეჯიბრებას ვთქვათ, კალიფორნიაში, მეზურნეთა დასტას აქედან ხომ არ წაიყვანენო“. რა უნდა მეთქვა, რუსთაველის სახელობის თეატრმა მსოფლიო შემოიარა, მაგრამ მუსიკოსები არ წაუყვანიათ თან. თუ ქართულ ჭიდაობას საერთაშორისო სარბიელზე გავრცელება უწერია, გავრცელდება მისი თანმხლები მუსიკაც, ფირზე ჩაიწერება და გადაიცემა.

გაგრაშიც იზრდებიან ჩემპიონები

სოხუმის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის კრივის დარბაზში ჩატარდა აფხაზეთის პირად-გუნდური პირველობა 1973-74 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის.

ამ ბოლო წლებში კრივის გეოგრაფია აფხაზეთში საკმაოდ გაფართოვდა. გაიხსნა სექციები სოფელ გუდუძირხვაში, ახალ ათონში, ბიჭვინთაში, გალში, ტყვარჩელში...

შეჯიბრებისათვის ყველაზე უკეთ მოემზადა გაგრის ნაკრები გუნდი, რომლის შვიდმა წევრმა გაიმარჯვა და აფხაზეთის კრივის ისტორიაში გაგრელებმა პირველად მოიპოვეს უძლიერესის სახელი. ეს ახალგაზრდა მწვრთნელის ვ. იალიანის წარმატებაცაა, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებს ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენების აღზრდისათვის.

მეორე ადგილზე გავიდა გულრიფშის რაიონის ნაკრები (მწვრთნელი ა. მინოსიანი). მესამეზეა სოხუმის გუნდი, რაც ერთ-ერთი მოულოდნელობაა.

პირად შეჯიბრებაში აფხაზეთის ჩემპიონები გახდნენ: ა. ავაქიანი (სოხუმი), ე. დუდუჭჩიანი, ი. ხალია (გუდაუთა), ბ. ოდიშარია (სოხუმის რ-ნი), ზ. ქარდავა (ოჩამჩირე), კ. კალაიჯიანი (გულრიფში), რ. ძიაფშიპა (გაგრა), ა. უზდიანი (გულრიფში), გ. ესართია (სოხუმი), ს. პოპოვი, ხ. კარაკიანი (გაგრა), ა. ოჰანესიანი (აგუძერა), კ. ჯანსუზიანი (გულრიფში), ა. ზადიაკიანი (გაგრა).

„ლელოს“ კორ.

სოხუმიდან—ბათუმში

აგუძერაში დამთავრდა შეჯიბრება სახანძრო-გამოყენებით სპორტში, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის სახანძრო ნაწილების ქვედანაყოფების სპორტსმენები, სსრ კავშირის სპორტის ოსტატები და კანდიდატები.

დაძაბული პაექრობის შედეგად გუნდურ ასპარეზობაში პირველ ადგილზე გავიდნენ აგუძერის №15 სახანძრო განყოფილების სპორტსმენები, მეორეზე — გულრიფშელები. სოხუმელი მეხანძრეები მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

დაძაბულად ჩაიარა შეჯიბრებამ პირად პირველობაში. 100-მეტრიანი დაბრკოლებებიანი ზოლის გადალახვაში ყველას აჯობა გივი ჩხეიძემ (აგუძერა), მეორე ადგილზე გულრიფშელი აკაკი მანჯავიძე გავიდა (ორივე—სპორტის ოსტატობის კანდიდატი), ხოლო აგუძერელმა გურამ ძიძიგურამ მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

დიდი ინტერესი გამოიწვია საიერიშო კიბით შეჯიბრებამ. ყველაზე კარგად იასპარეზა ახალგაზრდა, პერსპექტიულმა სპორტსმენმა, სსრ კავშირის სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ბათალ კვეკვესკირმა. მეორე ადგილი გ. ჩხეიძემ დაიკავა, მესამე — სსრ კავშირის სპორტის ოსტატმა მელიქ ნერსესიანმა.

აფხაზეთის ნაკრები ამჟამად დაძაბულად ვარჯიშობს, რათა ღირსეულად გამოვიდეს ჩვენი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველობაზე, რომელიც ჩატარდება ბათუმში.

კორნელი კაკაჯია.

ხალიჩაზე—მოსწავლეები

სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სპორტკომპლექსში ჩატარდა საქართველოს განათლების სამინისტროს სასპორტო სკოლების პირადი პირველობები სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში 1973-74 წწ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის. შეჯიბრების მიზანი იყო ნაკრები გუნდების კანდიდატების შერჩევა 1990 წლის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

სამბისტთა ტურნირში მონაწილეობდა რესპუბლიკის 17 ქალაქისა და რაიონის 160 სპორტსმენი, კარგად მომზადებული მოჭიდავეები გამოიყვანეს რუსთავის (მწვრთნელი ვ. ჩიხრაძე), ქუთაისის (მწვრთნელი გ. სარდანაძე) და თბილისის (მწვრთნელი ე. ბიგნიშვილი) გუნდებმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ზ. ზედგინიძემ (გარდაბანი), ლ. ალფაიძემ (ქუთაისი), გ. გოჩელაშვილმა (ქუთაისი), თ. წამალაიძემ (თბილისი), ა. წიქორიძემ (ქუთაისი), დ. გიორგაძემ (თბილისი), პ. როსტიაშვილმა (საგარეჯო), ა. დოლიძემ (აჭარა), ლ. ჭინჭარაულმა (გარდაბანი), გ. ობოლაძემ (ქუთაისი), ს. მენთეშაშვილმა (რუსთავი), გ. ხუციშვილმა (თბილისი), ვ. პეტრიაშვილმა (რუსთავი), კ. ბერიაშვილმა (თბილისი), თ. კენჭოშვილმა (რუსთავი).

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში კი რესპუბლიკის 22 ქალაქისა და რაიონის 200 მოჭიდავე მონაწილეობდა.

გაცნობებთ გამარჯვებულთა ვინაობას:

ე. ბედინეიშვილი (თბილისი); მ. მხეიძე (სამტრედია); ზ. აბუსერიძე (აჭარა); ა. კაბისოვი (ცხინვალი); გ. ყოჩიაშვილი (წოთელი-წყარო); ა. ალოვიანი (აფხაზეთი); პ. კარელიძე (გორი); რ. აბრამიშვილი (საჩხერე); ნ. რუხაძე (სამტრედია); ჯ. ჯაჯანიძე (ბოლნისი); კ. კენჭოშვილი (რუსთავი); ე. ზარდიაშვილი (რუსთავი).

ჯემალ ლორია,
რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი.

„ივერიის“ კორესპონდენტი და გურული ცხენოსნები ლონდონში

წინაპრების ნაკვალევზე

ილია ჭავჭავაძის „ივერია“ საქართველოს ყოველდღიურ ცხოვრებასთან ერთად გარკვეულ ადგილს უთმობდა თავის ფურცლებზე უცხოეთში მომხდარ საინტერესო ამბებს.

სხვადასხვა პერიოდებში გაზეთში იბეჭდებოდა რომდენიმე, პარიზიდან და ლონდონიდან გამოგზავნილი წერილები, რომლებსაც ხელს აწერდნენ საკუთარი კორესპონდენტები. მათ შორის იყო „ივერიის“ ლონდონელი კორესპონდენტი „ვ. მარველი“. ავტორი კონსპირაციაში იყო, რის გამოც „ივერია“ შეგნებულად არ ამჟღავნებდა მის ნამდვილ გვარს. დღეს ცნობილია, რომ „ვ. მარველი“ ვარლამ ჩერქეზიშვილი ყოფილა. და თუ რატომ აწერდა იგი თავის კორესპონდენციებს ხელს ფსევდონიმით, ამაზე ქვევით მოგახსენებთ. ჯერ კი — ლონდონში ჩასულ გურულ ცხენოსნებზე. „ცირკში აპირებდნენ გამოსვლას ქართველი ცხენოსნები. აბა, რა გააჩერებდა ვარლამს რომ თანამემამულეები არ ენახა!“

შემდგომ, იგი „ივერიაში“ წერდა: „აი, ამერიკამ სცენა დასცალა. ეხლა გამოდიან ჩვენი გურული ცხენოსნები სხვადასხვა ფერის ჩერქეზულის ტანისამოსით; ყველანი იარაღში სხედან. ჯერ ტარებით ნელ-ნელა მწყობრის სიმღერით გარს შემოუარეს უშველებელ სცენას. სცენის შუაგულში გაჩერდნენ. ცხენებიდან ჩამოხდნენ, ირგვლივ დადგნენ, სიმღერა შემოსძახეს, ტაში დაუკრეს და ლეკური დაუარეს. საზოგადრება აღტაცებაში მოდის და მრავალი ათასი კაცი ტაშს უკრავს მოწონების ნიშნად. მერე იწყება ჯირითი და ცხენების თამაშობა... ჩვენებურ ახალგაზრდობის ჯირითი და თამაშობა, ისეთი, როგორსაც ეხლაც ჰნახავთ ხატობასა და დღეობებში ძველებურ ეკლესიებთან ტყიან მთებში. გურულების ჯირითი და თამაშობა ძლიერ აკვირვებს ინგლისელებს.

— საკვირველი ცხენოსნები არიან! — მითხრა ერთმა ინგლისელმა — ავსტრალიისა და ამერიკის მინდვრებში ვყოფილვარ, ასობითა და ათასობით ვიცნობდი ცხენოსნებს, მაგრამ მაგათი მსგავსი კი არაფერი არ მინახავს. ეს კაცები, ასე გგონია, ცხენზე ამოსულები არიანო. ვერ გაგირჩევია: სად თავდება კაცი და სად იწყება ცხენი. ალბათ, იმათ ქვეყანაში კარგი ცხენოსნობის სკოლაა გამართული.

— რასა ბრძანებთ! ვუპასუხე, რის ცხენოსნობის სკოლა! ჩვენებური სოფლის ახალგაზრდობაა; ჩვენებური სახალხო დღეობებში ყოჩაღი და მარჯვე ახალგაზრდა კაცები ყოველთვის ასე აჯირითებენ ცხენებს თავიანთ სატრფო ქალებსა და ტოლებს წინ.

— საკვირველია! ჰკვირობდა კიდევ ჩემი მოსაუბრე. აი, მექსიკელებმაც, ეხლა რომ ვნახეთ, კარგი ცხენზე ჯდომა იციან, მაგრამ ამ მთელების შნო, სიმკვირცხლე და ყოჩაღობა არა აქვთ. მართალს ამბობთ; ცხენოსნობის სკოლაში კაცი ვერ შეისწავლის ასეთ კარგ მხედრობას. აქ ხანგრძლივის ეროვნულის ცხოვრების ტრადიცია სჩანს. საკვირველი კია და...“

წარმოდგენა რომ დამთავრდა, გახარებული ვარლამ ჩერქეზიშვილი მხედრების გასახდელში შევიდა.

— გამარჯობათ, გურულებო!

ყველამ გაკვირვებით შეხედა უცნობს. საიდან მოხვდა აქ ლონდონშიო. ერთი მხედარი ვარლამთან მივიდა. ხელი გაუწოდა.

— გაგიმარჯოს, გენაცვალე!

აყიყინდნენ გურულები. გარს შემოეხვივნენ.

— ზესანიშნავად გამოხვედით, ბიჭებო, მთელი ლონდონი თქვენ ხელშია. საქართველო ასახელეთ!

გურული ცხენოსნები ჩიკაგოში.

— ახლა თქვენი თავი გაგვაცანით.

— მრავალი წელია, რაც გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი ვარ ლონდონში.

— ბატონ ილიას გამოუგზავნიხარ.

— ვარლამს გაეცინა.

— ასე ჩათვალეთ.

— გვარი გვაჩუქე.

— „ივერიაში“ ჩემს წერილებს მარველის გვარით კითხულობენ. ვარლამი შეგიძლიათ დამიძახოთ.

გულთბილი საუბარი გაიმართა.

ვარლამ ჩერქეზიშვილი თბილისში იწერებოდა:

„...კარგა ვისაუბრეთ. ამას გარდა კიდევ ვნახე რამდენჯერმე: ქართული გაზეთების ახალი ნომრები და „მოამბე“ მივუტანე, ზოგიც ფოსტით გავუგზავნე. ისეთის დიდი ინტერესით სტაცეს ხელი ამ გაზეთებსა და „მოამბეს“, რომ სწორედ გაშტერებული დავრჩი. მაგრამ ამაზე ძლიერ უფრო მაშინ გავშტერდი, როცა ერთმა გურულმა მთხოვა: ლონდონის უნივერსიტეტის პროგრამა მიშოვე, ჩემ ძმისათვის მინდაო; აქედან ფულს ვუგზავნი და საშუალო სასწავლებელში ვზრდიო; გავოცდი მაშინაც, როცა მეორე გურულმა მიამბო: ჩემი ძმა სამკურნალო ფაკულტეტს ათავებს და ფულს აქედან ვუგზავნიო. შევყურებდი ამ გურულებს და თან სიხარულისაგან ძლივსღა ვიდექ ფეხზე... მეცნიერებისა არაფერი არ გაუგონიათ და თავიანთ ნაშოვარ ფულით ძმებს ზრდიან უმაღლეს სასწავლებლებში — ასე ვფიქრობდი და ძლიერ ვკვირობდი. თუ ეს იშვიათი საარაკო შემთხვევა არაა, თუ გურიაში და მთელ საქართველოში საშუალო სოფლელი კაცი ასე აფასებს მეცნიერებასა და განათლებას — ეს ძლიერ კარგი ნიშანია, ეს მომავალი განვითარების თავდებია და თანაც იმის მაჩვენებელია, რომ ძველთაგანვე განათლებულ და კულტურულ ხალხს ღირსეული და საკადრისი შთამომავლები ჰყოლია. მერე საუბრიდან შევიტყვე, რომ ამ გურულებს მთელი ამერიკა თავიდან ბოლომდე სულ მოუვლიათ და ყველა დიდი ქალაქი უნახავთ“.

ლონდონელი კორესპონდენტი თბილისში გამოგზავნილ წერილს იმით ამთავრებდა, რომ შენიშნავდა, — გურულებს ძალზე დაუმეგობრდნენ ბურებიო. „სადილსაც სულ ამათთან სჭამენ, თუმცა ეს ბურები გურულებთან ერთის სიტყვის თქმასაც ვერ ახერხებენ“, — დასძენდა იგი.

„ბ-ნი მარველი“ ხშირად გზავნიდა საქართველოში სხვადასხვა ხასიათის ვრცელ ინფორმაციებს ინგლისის საზოგადოების ცხოვრებიდან, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ საკითხების გაშუქებას, რომლებიც დაკავშირებული იყო საქართველოს ისტორიასთან, ინგლისელების და უცხოელების კავკასიაში მოგზაურობასთან, მათ ინტერესს ქართველი ხალხის ცხოვრებისადმი.

და ბოლოს იმაზე, თუ რატომ არ აწერდა თავის გვარს ლონდონიდან გამოგზავნილ კორესპონდენციებს ვარლამ ჩერქეზიშვილი.

პეტერბურგში სტუდენტური ცხოვრების დროს იგი გაეცნო რევოლუციური განწყობილების ახალგაზრდობას. 1871 წელს რევოლუციური მოღვაწეობისთვის ვ. ჩერქეზიშვილი (ვ. ჩერქეზოვი) დააპატიმრეს და ხანგრძლივად ციმბირში გაასახლეს. ჯერ ტუმენში, ხოლო 1873 წლიდან — ტომსკში. მან სხვებთან ერთად მოახერხა ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის საჭირო ნაწარმის გამოშვება, დააგროვა ფული და 1876 წელს საზღვარგარეთ გაიქცა. ეს იყო რთული და სახიფათო გზა. მისი ძებნა გაფაციცებით დაიწყო ჟანდარმერიამ რუსეთის ტერიტორიაზე, ასევე სხვა ქვეყნებშიაც. შემდგომ ჟანდარმერიის ერთ დოკუმენტზე წარწერა იყო გაკეთებული, რომ „როგორც გაზეთ „ვ პერიოდში“ წერენ, ჩერქეზოვი ლონდონშია“. აი, რატომ მოხდა, რომ ნიჭიერი ჟურნალისტი ილიასეული „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილებს „ვ. მარველის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა.

ანდრე ციხკარაძე.

დამაჯერებელი სიმარჯვე

მინსკი (8 აპრილი, ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.). ბელორუსიის დედაქალაქში დაიწყო მოჭადრაკე გოგონათა საბჭოთა შესარჩევი ტურნირები. საქართველოდან ამ შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება მოვიპოვეთ ჰენრიეტა ლაგვილავამ, სოფიკო ტერელაძემ, ნათია ჯანჯღავამ, სოფიკო ნიკოლაძემ და მე. ოთხნი 18 და 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა ტურნირებში გამოვდივართ, მხოლოდ ნიკოლაძე თამაშობს 16 წლამდე ასაკის გოგონათა შორის. მაგრამ ჯერ ძირითადი— „უფროსების“ შეჯიბრებაზე ვისაუბროთ. წილისყრის მიხედვით მონაწილენი ასე განვლაგდით სატურნირო ცხრილში: აინურ სოფიევა (ბაქო, საერთაშორისო ოსტატი, რეიტინგი — 2294, 19 წლის), ქეთევან კახიანი (თბილისი, საერთ. ოსტ.; 2291;18), ჰენრიეტა ლაგვილავა (ქუთაისი, ოსტატი; 2173; 20), ტატიანა კიბრიკი (ლენინგრადი; ოსტატობის კანდიდატი; 2050; 18), სვეტლანა მატვეევა (ფრუნზე; საერთ. ოსტ.; 2304; 20), სოფიკო ტერელაძე (სამტრედია, ოსტ; 2112; 17), ანჯელა ბელაკოვსკაია (ოდესა; ოსტ; 2207; 20), ლაიმა დომარკაიტე (ვილნიუსი; ოსტ.; 2127; 19), ნათია ჯანჯღავა (თბილისი; ოსტ.; 2170; 17), ფირუზა ველიხანლი (ბაქო; ოსტ.; 2183; 19), სვეტლანა კორკინა (ივანოვო; ოსტ. კანდ.; 2073; 18), ტულიკა ლაეესონი (ტალინი; ოსტ.; 2157; 20), ჟანა შური (ლენინგრადი; ოსტ. კანდ.; 2050, 18), ალბინა იურევა (ბაქო; ოსტ. კანდ.; 2097; 18).

ახლა პირველი სამი ტურის შედეგებს გაგაცნობთ: **I ტური:** სოფიევა-იურევა 0,5:0,5, კახიანი-შური — 1:0, კიბრიკი-კორკინა 0:1, მატვეევა-ველიხანლი 1:0, ტერელაძე-ჯანჯღავა 0,5:0,5, ბელაკოვსკაია-დომარკაიტე 1:0; **II ტური:** იურევა-დომარკაიტე 0:1,; ჯანჯღავა-ბელაკოვსკაია 0,5:0,5, ველიხანლი-ტერელაძე 1:0, კორკინა-მატვეევა 0:1, ტალინი-კიბრიკი 1:0, შური-ლაგვილავა — 0:1, სოფიევა-კახიანი 0:1; **III ტური:** კახიანი-იურევა 1:0, ლაგვილავა-სოფიევა 0:1, კიბრიკი-შური 0:1, მატვეევა-ლაესონი 0,5:0,5, ტერელაძე-კორკინა 0:1, ბელაკოვსკაია-ველიხანლი 1:0, დომარკაიტე-ჯანჯღავა 0:1, ლაგვილავას დაადგიანდა ჩამოსვლა და მისი პირველი ტურის პარტია ლაესონთან გადატანილია.

სამი ტურის შემდეგ მე 3 ქულა მაქვს, ბელაკოვსკაიას — 2,5, ჯანჯღავასა და კორკინას —2-2.

16 წლამდე ასაკის გოგონები ორ წრედ თამაშობენ. ისინი ასე განლაგდნენ სატურნირო ცხრილში: იულია ლევიტანი (მინსკი), ირინა ზაკი (კიშინიოვი), ევგენია კოვალევსკაია (როსტოვი), სოფიკო ნიკოლაძე (ქუთაისი), ოლგა იაშჩენკო, ზეინაბ აგაევა (ორივე — ბაქო). აქაც სამი ტურია გათამაშებული —2,5 ქულით ლიდერობს ნიკოლაძე (მოუგო კოვალევსკაიასა და იაშჩენკოს, დაუზავდა აგაევას). 2 ქულა აქვს აგაევას, ქულანახევარი — ზაკს.

თითოეული ასაკობრივი ჯგუფიდან მსოფლიო პირველობის საგზურს თითო მოჭადრაკე იღებს.

ვთამაშობთ მინსკის ჭადრაკის სასახლეში. სხვათა შორის, ძალიან კარგი შენობაა, უამრავი ოთახი აქვს, აქვს, აგრეთვე საკუთარი სასტუმრო. სხვათა შორის, ამ ტურნირებზე ჩამოსული რამდენიმე მწვრთნელი ამ სასტუმროში ცხოვრობს. ჩვენ კი ქალაქის სასტუმრო „სვისლოჩში“ დავიდეთ ბინა. აქედან ორიოდე წუთის სავალია სასახლემდე.

გუნება-განწყობა, განსაკუთრებით ჯანჯღავას, ნიკოლაძესა და მე კარგი გვაქვს. იმედია, ლაგვილავა და ტერელაძეც მალე დაიბრუნებენ დაკარგულს და ლიდერთა ჯგუფში ჩადგებიან.

ქეთევან კახიანი,
საერთაშორისო ოსტატი.

იურმალა-89

ლატვიის საკურორტო ქალაქი იურმალა ჩოგბურთელთა ტრადიციული „თავშესაყარიც“ არის. მან ამჯერადაც უმასპინძლა ჩოგნის ახალგაზრდა ოსტატებს. ეს მოხდა მარტის ბოლოს, ჩვენი ქვეყნის მოზარდთა ზამთრის პირად-გუნდურ პირველობაზე, რომელიც ორ ასაკობრივ — 14 და 18 წლამდე ჯგუფში ჩატარდა. მაღალ დონეზე წარმართეს ორთაბრძოლები და პირველობა მოიპოვეს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენლებმა, რომლებიც ახალგაზრდა თბილისელმა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა ვიქტორ ბაქშიმ მოამზადა საასპარეზოდ. გამარჯვებულთა გუნდის ღირსებას იცავდა ორი თბილისელი ჩოგბურთელიც — მიხეილ მღებროვი და გიორგი ტყემალაძე. ერთ-ერთმა მათგანმა, კერძოდ 14 წლის მ. მღებროვმა (მწვრთნელი ვ. ბაქში) ტოლი არავის დაუდო და უძლიერესის სახელი მოიპოვა.

ტურნირში პროფკავშირელ სპორტსმენებთან ერთად გამარჯვებისათვის იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებისა და დინამოელი ჩოგბურთელები — სულ 64 მონაწილე.



მიხეილ მღებროვი.

თქვენ რას იტყვით, კოლეგა?

ერის ჯანმრთელობა ყველაზე ძვირფასი კაპიტალია

ამ დღეებში თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ბულგარელი ჟურნალისტი, „სოფია-პრესის“ საგენტოს კორესპონდენტთა ბიუროს ხელმძღვანელი მოსკოვში ლჩეზარ ბონევი.

ბონევი რედაქციაში გვეწვია, დაინტერესდა „ლელოს“ საქმიანობით, ვისარგებლეთ ამ შემთხვევით და კოლეგას „ლელოს“ კორესპონდენტმაც ჩამოართვა ინტერვიუ.

— ჩვენი კორესპონდენტები ყოველ წელს საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნებზე, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ აგრეთვე ქვეყნის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა, სსრ კავშირი ხომ მსოფლიოში უდიდესი სპორტული სახელმწიფოა — თქვა სტუმარმა.

● ალბათ თქვენთვის საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრებიდანაც ბევრი რამ უკვე ცნობილია.

— თქვენთან სტუმრობის შემდეგ უფრო მეტი გახდა ცნობილი. მე, პირადად, იმითავითვე ვიყავი აღფრთოვანებული საქართველოს სპორტსმენთა წარმატებებით. სეულში, 16 ოლიმპიელისგან 12 მედლის მოპოვება უდიდესი მიღწევაა პატარა ერისთვის. მით უმეტეს, XXIV ოლიმპიადაში მსოფლიოს 108 ქვეყანა საერთოდ უმედლოდ დარჩა.

● როგორ უყურებთ დიდი სპორტის პერსპექტივებს, წარმოგიდგენიათ თუ არა როგორი იქნება სპორტი XXI საუკუნეში?

— ამ საკითხზე არაერთხელ დავფიქრებულვარ და ვერაფრით ვერ გამომიტანია დასკვნა. დიდი სპორტი საჭიროა, რამდენადაც იგი ხელს უწყობს მსოფლიოს ხალხთა დაახლოებას, ცალკეული ქვეყნებისა და მისი სპორტსმენების მეშვეობით ერის საუკეთესო თვისებების წარმოჩენას მსოფლიო სარბიელზე უდავოდ მისასალმებელია, ახალი რეკორდები, სწრაფვა ადამიანის შესაძლებლობების სრულად გამოვლენისაკენ, მაგრამ მუდამ იმასაც ვფიქრობ, საით მივდივართ? უბრალოდ, ჩემთვის ძნელი წარმოსადგენიც კია, როგორი იქნება დიდი სპორტი XXI საუკუნეში.

● ფიზკულტურისა და სპორტის სოციალურ მნიშვნელობაზეც გვინდა გკითხოთ, ბულგარეთში თუ ინერგება სიახლეები ამ სფეროში?

— ჩვენთანაც და თქვენთანაც, რა დასამალია, მეტი ყურადღება ეთმობა დიდ სპორტს, ადამიანები მასობრივ სპორტს და ფიზკულტურას რომ ვაზიაროთ, უფრო ეფექტიანად უნდა იქნეს გამოყენებული თვით დიდი სპორტის პროპაგანდისტული შესაძლებლობები. რაც შეეხება სიახლეებს: ბულგარეთში სულ ახლახანს 140 ნაგებობა გადაეცა ჯანმრთელობის სამინისტროს. იმ შენობებში ძირითადად აღდგენითი ცენტრები და მასობრივი გაჯანსაღების კომპლექსები იქმნება. ჯანმრთელობა ერის ყველაზე ძვირფასი კაპიტალია და მთავრობები თქვენთანაც და ჩვენთანაც ყველაფერს აკეთებენ, რომ უფრო ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ყველა შესაძლებლობები, გაფართოვდეს ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი ობიექტების ქსელი. ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეზე ლოზუნგები, რომლის მიღმა უმოქმედობა იმალებოდა, ახლა თანდათან უთმობს გზას პრაქტიკულ საქმეს. ამის დაუნახავობა არ შეიძლება.

● როგორ გესახებათ სოციალისტური ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობა გამჯანსაღებელ მუშაობაში?

—ეს აუცილებელია. მე ვფიქრობ, არა მხოლოდ საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობებში, არამედ მასობრივ-გამჯანსაღებელ ღონისძიებებში უნდა ხვდებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნის ხალხები. ჩვენთან, სოფიაში ამ ხუთი წლის წინათ პირველად ჩავატარეთ საქალაქო მარათონი. მერე და მერე მისი მასშტაბი გაიზარდა, წელს იგი საერთაშორისო გახდა და 14 ათასი კაცი მონაწილეობდა. ყველა იმდენს გარბის, რამდენიც სურს და ძალა შესწევს.

● სპორტში პროფესიონალიზმის კურსზე რას იტყვით?

— ეს აუცილებელია, ნუ გგონია, რომ პროფესიონალიზმი კაპიტალისტური იარლიყია. პროფესიონალიზმი ყველა საქმეში აუცილებელია, მათ შორის დიდ სპორტში.

ჭაბუკებმა კვლავ გვასახელეს

ახლახან ჩიმკენტის რინგზე დამთავრებულ იუნიორთა საკავშირო პირველობის შეხვედრებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა ბრწყინვალე გამარჯვებას, სადაც მათ 4 პირველი და 3 მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვეს, საქართველოს ჭაბუკთა მორიგი დიდი წარმატება მოჰყვა. დუშანბეში ქვეყნის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლების, სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატების და პროფტექნიკური სასწავლებლების სპეციალიზებული კლასების ნორჩ მოკრივეთა ასპარეზობაზე (მონაწილეობდა 226 მოკრივე) თავი ისახელეს საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელებმა, რომლებმაც საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს.

ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ფოთის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების კრივის სპორტსკოლის (დირექტორი ბადრი ბასილაია) აღსაზრდელებს, რომლებიც ჩემპიონები გახდნენ: 44 კგ. კობა გოგოლაძე (მწვრთნელი ნიკა ქლანტიაშვილი), 52-პაატა გვასალია (საზარი კოდუა), 85-ზურაბ სარსანია (ზურაბ ანთია).

საუკეთესო ტექნიკისათვის სპეციალური პრიზები გადაეცათ კ. გოგოლაძეს, პ. გვასალიასა და რ. ჩიბუხჩიანს. მეორე ადგილები და ვერცხლის მედლები წილად ხვდათ: 46 კგ—თბილისელ ჰენრიხ გახოიანს (ედუარდ არუთინოვი), 44 — მესტიელ რამაზ ფალიანს (ჰენრი მუშუდიანი), 57—რობერტ ჩიბუხჩიანს (ნორიკ მარდანოვი). გუნდის უფროსი მწვრთნელია დავით ქავთარაძე.

საქართველოს წარგზავნილთაგან ვერცხლის მედალი ხვდა წილად აგრეთვე თამაზ ხდრიანს (სახალხო განათლების სამინისტრო, „შრომითი რეზერვები“ (50 კგ, თბილისი), მესამე ადგილზე გავიდნენ: ილია ფაროიანი (სახალხო განათლების სამინისტრო, „შრომითი რეზერვები“, 54-თბილისი) და ქუთაისელი გიორგი კოჩიშვილი (სახალხო განათლების სამინისტრო — 48).

• • •

სურათზე: საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ნაკრები გუნდი, მარცხნიდან — დავით ქავთარაძე (უფროსი მწვრთნელი), სოზარ ცულუა, (მწვრთნელი), პაატა გვასალია, ჰენრიხ გახოიანი, ზურაბ სარსანია, რამაზ ფალიანი, რობერტ ჩიბუხჩიანი, კობა გოგოლაძე, ნიკოლოზ ულანტიაშვილი (მწვრთნელი).

კალეიდოსკოპი

მარტივი და ხაიმედო მექანიზმი

ეს მართლაც საჩოგბურთო სეზონის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სენსაცია იყო. უმაღლესი კლასის მოთხილამურეებით განთქმულმა ავსტრიამ დევისის თასის გათამაშებაში „მშრალი“ ანგარიშით (5:0) დაამარცხა ქვეყანა, სადაც არ იცან რა არის თხილამურები და თოვლიანი ზამთარი. ეს დამარცხებული ქვეყანა ავსტრალია გახლდათ.

ხუთიოდე წლის წინ ვენის მახლობლად ჩოგბურთის ენთუზიასტმა და პოპულარიზატორმა მიჰაელ ვრანმა გახსნა სპეციალიზირებული სკოლა და მასში ბევრი ახალგაზრდა მსურველი ჩარიცხა. თვითონ ვრანი მხოლოდ ახალბედებს ავარჯიშებს. მერე მისი მოწაფეები უფრო გამოცდილ მწვრთნელთა ხელში გადადიან და მათთან განაგრძობენ ოსტატობის ამაღლებას. ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდებთან კი, უკვე ქვეყნის ნაკრების დონეზე, მუშაობას იწყებს ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი იან კუკალი. ასეთია ავსტრიელ ჩოგბურთელთა მომზადების არც ისე რთული, მაგრამ საიმედო მექანიზმი.

მიჰაელ ვრანის სკოლა გაიარეს ავსტრიის ნაკრების დღევანდელმა ფავორიტებმა, 21 წლის თომას მუსტერმა, 22 წლის ალექსანდრე ანტონიჩმა და 19 წლის ჰორსტ სკოფმა.

კამათს აღარ აპირებენ

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია აღარ აპირებს კამათს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან ოლიმპიურ ტურნირში პროფესიონალთა დაშვების თაობაზე.

შარშან ივლისს, განაცხადა მან, ჩვენ გვინდოდა, რომ ოლიმპიადა ხელმისაწვდომი ყოფილიყო 23 წლამდე ასაკის ფეხბურთელთათვის. მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ყოვლად დაუსაბუთებელი წინააღმდეგობა გაგვიწია. ჩვენ არც იმას გავაპროტესტებთ, თუ სოკ-ი ფეხბურთს საერთოდ ამოიღებს თამაშების პროგრამიდან. ამ შემთხვევაში ოლიმპიური კომიტეტი თავის თავს თვითონვე დასჯის, ვინაიდან ფეხბურთზე უფრო პოპულარული სპორტი დღესდღეობით მსოფლიოში არ არსებობს.

ახალი პრეზიდენტი

ნორვეგიის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი არნე მიურველდი ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად აირჩიეს. ადრე იგი პარალელურად სათხილამურო სპორტის ეროვნულ ფედერაციასაც ხელმძღვანელობდა.

43 წლის მიურველდმა თავის პოსტზე ბიზნესმენი იან გიულბრანდსენი შეცვალა. ახალმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ლილეჰამერის 1994 წლის ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზაციის საქმეში. მისი აზრით ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში უფრო სერიოზული საქმე არც ექნება. მიურველდის მოადგილედ (ვიცე-პრეზიდენტად) არჩეულია ნორვეგიის ბიატლონის ფედერაციის ხელმძღვანელი ბერიე სტენსბელი.

შესაძლოა დაბრუნდეს კიდეც

არ არის გამორიცხული, რომ ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ალბანეთმაც მიიღოს. როგორც ჩანს, ამ ქვეყანას სპორტში ბოიკოტის პოზიცია უკვე მობეზრდა. მაგრამ ალბანელი სპორტსმენები ჯერ საერთაშორისო სარბიელზე ნიადაგის მოსინჯვას აპირებენ. იქაური სპორტული გაზეთის მთავარი რედაქტორის ბეზნიკ დიზდარის განცხადებით დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორ გამოვლენ ქვეყნის სპორტსმენები ხმელთაშუა ზღვის თამაშებში (გაიმართება 1991 წელს ათენში).

— ჩვენ ამაყი ხალხი ვართ, თქვა დიზდარმ, და უნდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ ოლიმპიადაზე რაღაც წარმატებას მაინც მივაღწევთ. ოლიმპიურ მოძრაობას მიუნხენის თამაშებში სუსტად გამოსვლის შემდეგ გავემიჯნეთ.

სპეციალური კონფერენცია

31 მაისს-1 ივნისს ბრეიკავიკში ჩატარდება სპორტის მინისტრთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ბოლოინდოლიმპიადის ეხებოდეს ეროვნულ სპორტულ ორგანიზაციებს მიეძღვნება.

როგორც ცნობილია, ბარსელონის ოლიმპიადის ორგანიზაციის მონაწილენი გამოვლენ ფართო და ყოვლისმომცველი პროგრამით. განსაკუთრებული უურადღება მიექცევა კონტროლისა და პროფილაქტიკის საკითხებს.

დორტმუნდი კანდიდატთა შორის

დასავლეთგერმანიის ქალაქ დორტმუნდს გადაწყვეტილი აქვს თავის ცნობილ „ვესტფალენჰალეში“ კალათბურთელ ვაჟთა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მოაწყოს. ეს სურვილი ქალაქის ხელმძღვანელობამ ჯერ გფრ-ის კალათბურთის ფედერაციას გააცნო. ამ უკანასკნელმა კი ოფიციალური სახე მისცა მას და სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინას გადასცა.

უახლოესი მსოფლიო ჩემპიონატი, როგორც ცნობილია, 1990 წელს გაიმართება არგენტინაში. დორტმუნდს კი უკვე ჰყავს პრეტენდენტები რომის, ბელგრადის, პერტის (ავსტრალია) და კობეს (იაპონია) სახით.

ნიკი ლიუდას მსგავსად

მსოფლიო ჩემპიონმა ციგურაობაში ჰოლანდიელმა ლაო ფისერმა გადაწყვიტა თავი დაანებოს სპორტს. იგი კარგა ხანს მალავდა, თუ რას გააკეთებს ამის შემდეგ. ფიქრობდნენ, რომ ფოსერი ტელეკომენტატორი გახდებოდა ან ახალგაზრდა მოციგურეთა აღზრდას მოჰკიდებდა ხელს.

ამას წინათ სპორტსმენმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს ადგილობრივი ავიაკომპანიის (კლმ-ნიდერლანდი) პილოტი გახდეს.

— ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა იმან, რომ ცნობილმა ავტომობილისტმა, ავსტრიელმა ნიკი ლაუდამ თავისი საყვარელი პროფესია პილოტობაზე გაცვალა. მეც დაახლოვებით ასე მინდა მოვიქცე.

ჰოკეისტთა ექსპორტ-იმპორტი

კანადის და აშშ-ს ჰოკეისტთა კლუბებში ბევრი ევროპული სპორტსმენი თამაშობს, მაგრამ სტატისტიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს ორი ქვეყანა თვითონ გაცილებით მეტ ჰოკეისტსა და სპეციალისტს აგზავნის ევროპაში. გფრ-ში თამაშობს 297 ამერიკელი ჰოკეისტი, შვეიცარიაში — 81, შვეიცარიაში — 55, კანადა თვითონ გაცილებით მეტ ჰოკეისტსა და სპეციალისტს აგზავნის ჰოლანდიაში — 53, ავსტრიაში — 49, იტალიაში — 41, ნორვეგიაში — 33, ფინეთში — 32.

კალეიდოსკოპი

სპორტის მოყვარულთა საყურადღებოდ!

ფეხბურთსა და კალათბურთში თბილისში დაგეგმილი გუშინდელი და დღევანდელი საკავშირო მატჩები გადატანილია. ახალ თარიღებს დამატებით გაცნობებთ.

„სპორტპროგნოზი“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ მე-14 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 1-2 აპრილს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 4.710.043 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (1) მოგება 10 000 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (89) — 1587 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (1964) — 282 მანეთი.

საქართველოში: 13-0, 12-4, 11-120.

მე-14 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 22 აპრილიდან 22 მაისის ჩათვლით.

რედაქტორი

თ. ბაჩეჩილაძე

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

ბუშინ გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის VI ტურის მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. მოსკოვის სპარტაკელებმა „ოლიმპიურის“ დახურულ დარბაზში მიიღეს ხარკოვის „მეტალისტი“. თამაში დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 3:0.

ქვირიდან ქვირამდე

„პრავდა“ — 2 აპრილი. „რა ღირს „ვარსკვლავები“?“ პირველივე კომერციულმა ოპერაციამ საბჭოთა ფეხბურთში საკონფლიქტო სიტუაცია გამოიწვია.

„იზვესტია“ — 4 აპრილი. „უშუ-ს გამოცანების ამოხსნა“. 11-17 აპრილს კიევში გაიმართება უშუ-ს პირველი საკავშირო ფესტივალი.

„მოსკოვსკაია ნოვოსტი“ — №14. „ვიზომებთ დიდ მუზარადს“. აღლერის საერთაშორისო საჩოგბურთო ცენტრი უმასპინძლებს „დიდი მუზარადის“ ხუთიდან ერთ ეტაპს.

„სოვეტსკი სპორტი“ — 4 აპრილი. „...ზღაპარი რომ სინამდვილედ იქცეს“. ინტერვიუ სსრ კავშირის საავტომობილო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ლ. შუგუროვთან.

7 აპრილი. „პროფესიონალობაზე არასდროს მიოცნებია“. გაზეთის სტუმარია ცნობილი კალათბურთელი ოსკარ შმიდტი, რომელიც იტალიის „სნაიდეროში“ თამაშობს.

მიეძღვნა 3. მასლოვის ხსოვნას

მოსწავლეთა არდადეგების დღეებში მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ა. მასლოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საკავშირო ტურნირი ფეხბურთში.

გათამაშებაში მონაწილეობდა 1975-76 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა ქვეყნის რვა კოლექტივი. ჩვენი რესპუბლიკის სახელს იცავდა თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი, რომელიც მონაწილეებზე ერთი წლით უმცროსი ასაკის მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული.

ტურნირის პრიზიორი თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი.

გუნდები განაწილდნენ ორ ქვეჯგუფად. ქვეჯგუფში ახალგაზრდა საფეხბურთო სკოლის გუნდმა დაამარცხა გროზნოს „თერგი“ — 1:0, მოსკოვის „ტორპედო-1“ 1:0 და ფრედ (0:0) დაამთავრა შეხვედრა კიევის „დინამოსთან“. ნახევარფინალში ჩვენი გუნდი დამარცხდა მინსკის დინამოელებთან — 0:1.

თბილისის ახ. საფ. სკოლის გუნდი მესამე ადგილისთვის მოსკოვის „ტორპედო“-2-ს შეხვდა, საინტერესო თამაში ჩვენი ფეხბურთელების გამარჯვებით დამთავრდა — 1:0. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა ამ საინტერესო ასპარეზობაში საპატიო მესამე ადგილი დაიკავა. საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი გადაეცა ჩვენი გუნდის მოთამაშეს კ. გაფრინდაშვილს.

გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადა რ. გემახაშვილმა, სკოლის დირექტორია საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი.



საერთაშორისო ფეხბურთი: ფილიალები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

გულგარეთი

მე-20 ტური. „რუსე“ — „ბოტევი“ 2:0, „მინიორი“ — „სპარტაკი“ (ვარნა) 2:1, „ლოკომოტივი“ (სოფია) — „სლოვენი“ 2:0, „ლოკომოტივი“ (პლოვდივი) — „სრედეცი“ 1:1, „ჩერნომორეცი“ (ვარნა) — „თრაკია“ 0:0, „ეთირი“ — „სლავია“ 1:0, „ვიტოშა“ — „ორიახოვიცა“ 1:0, „სტარა ზაგორა“ — „ბლაგოევგრადი“ 2:0.

„სტრედეცი“	**19**	**62-15**	**33**
„ვიტოშა“	**20**	**38-25**	**26**
„ეთირი“	**20**	**35-20**	**24**

პოლონეთი

მე-18 ტური. „სლავსკი“ — „ლეგია“ 0:0, „ვალბრეიხი“ — „ოლიმპია“ 1:2, „შომბერკი“ — „გურნიკი“ 1:3, „გკს“ — „ვიძევი“ 2:1, კს (ლოძი) — „რუხი“ 2:2, „ბიალისტოკი“ — „ჰოგონი“ 1:0, „ლეხი“ — „სტალი“ 1:0, „იასტრებიე“ — „ვისლა“ — 4:2.

„გურნიკი“ (ზაბეე)	**18**	**35-14**	**31**
გკს (კატოვიცე)	**18**	**30-12**	**30**
„რუხი“ (ხოჟუვი)	**18**	**23-11**	**28**

გფრ

23-ე ტური. „ბაიერნი“— „ლევერკუზენი“ 2:0, „სენტ პაული“ — „ჰამბურგი“ 1:2, „კიოლნი“ — „შტუტგარტი“ 3:0, „იურდინგენი“ — „კარლსრუე“ 0:3, „ნიურნბერგი“ — „აინტრაჰტი“ 1:1, „მენჰენი“ — „ბოჰუმი“ 2:2, „დორტმუნდი“ — „ვერდერი“ 3:1, „ჰანოვერი“ — „შიონხენგლადბახი“ 0:1, „კიკერსი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 2:0.

„ბაიერნი“	**23**	**44-17**	**36**
„კიოლნი“	**23**	**40-17**	**31**
„ჰამბურგი“	**23**	**41-23**	**29**

(სპ. ინფ.)

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

უე 07163